# სპეციალური დანიშნულების დასკვნა №18-12/22

სსიპ - „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს სასწავლო ტელევიზიის ფინანსური ანგარიშგებაზე, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

- **შემსყიდველი:** სსიპ - „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
- სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ს/კ: 203851028;
- **მიმწოდებელი:** შპს „რიალ აუდიტი“, ს/კ: 204566996;
- **საფუძველი:** 2023 წლის 21 აპრილს გაფორმებული N04/020 ხელშეკრულება;
- **დანართი:** 17 (ჩვიდმეტი) ფურცელი, ორგანიზაციის მიერ ელ.დამოწმებული ფინანსური ანგარიშგება;

**ქ.თბილისი**
**2023 წ**

შპს „რიალ აუდიტი“ ;
ქ. თბილისი, გ. ქიქოძის ქ.№6/17;
ტელ: 599 76-99-76; ქალაქის ტელ: 2-92-17-39;

# შინაარსი


**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ..... 2**

შესავალი 2

პირობითი მოსაზრება 2

პირობითი მოსაზრების საფუძვლები 3

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით 3

აუდიტორის პასუხისმგებლობა 4

**1. ტელევიზიის შესახებ ..... 5**

**2. ანგარიშგება ..... 7**

2.1 ბალანსი 7

2.2 ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება 8

2.3 ფულადი ნაკადების ანგარიშგება 10

2.4 საწესდებო კაპიტალში ცვლილებების ანგარიში 10

2.5 ტელევიზიის მოძრავი ძირითადი საშუალებები 10

2.6 მნიშვნელოვანი გარემოებები - აღრიცხვის საფუძველი 12

**3. აუდიტის აკრედიტაცია და სერთიფიკატები ..... 13**

# დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სსიპ "საქართველოს შოთა რუსთველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის“ 01.01.2022 - 31.12.2022 საანგარიშო პერიოდისთვის განსაზღვრული სპეციალური ანგარიშის შემოწმების შესახებ

## შესავალი

დასკვნა მომზადებულია სსიპ - „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა“ (შემდგომში - „უნივერსიტეტი”) და აუდიტორულ კომპანია შპს „რიალ აუდიტს” შორის, 2023 წლის 21 აპრილს გაფორმებული N04/020 ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება ითვალისწინებდა 2022 წლის დასრულებული წლისათვის სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ქვედანაყოფის - სასწავლო ტელევიზიის - “Tafu Tv”-ს სააღრიცხვო ფინანსური ინფორმაციის აუდიტს. აუდიტი დაიგეგმა და განხორციელდა ურთიერთშორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება ითვალისწინებდა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შემოწმების მიზნით აუდიტორულ მომსახურებას, კომპანიამ ჩაატარა “Tafu Tv”-ს მიერ წარმოდგენილი 2022 წლის სააღრიცხვო ფინანსური ინფორმაციის აუდიტი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის, რომელიც შედგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციით დამტკიცებული თანდართული ფორმებისა და დანართების მოთხოვნათა გათვალისწინებით და მოიცავს საქართველოს კომუნიკავიების ეროვნული სააგენტოს 2006 წლის 20 აპრილის N 5 დადგენილებით დამტკიცებული „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესები“-თ გათვალისწინებულ ფინანსური ინფორმაციას. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აღნიშნული სახელმძღვანელო აქტებით დაკისრებული ვალდებულებები აღწერილია **„აუდიტორის პასუხისმგებლობის“** განმსაზღვრელ ნაწილში.

ვადასტურებთ, რომ ვართ დამოუკიდებელი კომპანიისგან, არ გაგვაჩნია არანაირი დაინტერესება აუდიტის შედეგის მიმართ. ვმოქმედებდით შესაბამისი ეთიკური ნორმების დაცვით, მიგვაჩნია, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორის მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

## პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, „Tafu Tv”-ს მიერ 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის მდგომარეობით წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, მომზადებულია საქართველოში „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნათ გათვალისწინებით, არ შეიცავს არსებით უზუსტობებს და ძირითადად სამართლიანად ასახავს „ორგანიზაცი“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში, გარდა შემდეგ აბზაცში ასახული მოსაზრების საფუძვლებში ასახული საკითხებისა.

**პირობითი მოსაზრების საფუძვლები**

საქართველოს კომუნიკავიების ეროვნული სააგენტოს 2006 წლის 20 აპრილის N 5 დადგენილებით დამტკიცებული „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესები“-ს მიხედვით ავტორიზებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს საკუთარ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში და ფილიალებში დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის მეთოდის დანერგვა და შესაბამისი სააღრიცხვო-ფინანსური ინფორმაციის წარმოება. მიმდინარე აუდიტი პროცესში გამოიკვეთა ისეთი საკითხები როგორიცაა მაგალითად სასწავლო ტელევიზიისათვის გამოყოფილი ფართისა და მასზე გაწეული დანახარჯების გამიჯვნის ბუნდოვანება საერთო ბალანსიდან. კერძოდ, ისეთი ხარჯები როგორიცაა კომუნალური, ბუღალტრული, კავშირგაბმულობის სრულად არ არის წარმოდგენილი მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში, ასევე 2018 წელს ჩატარებული კაპიტალური რემონტის თანხა 335,795.00 ლარის ოდენობით, ასახულია ანგარიშგებაში, ხოლო თვით ფართის (186,8 კვ.მ.) ღირებულება რომელსაც იყენებს ტელევიზია ანგრიშგებაში არ არის ასახული[1]. ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირების განცხადებით მათ მიერ 2021 წლის 09 აგვისტოს შპს თელმიკოში დარეგისტრირდა განცხადება სასწავლო ტელევიზიის ქვეაბონენტად გამოყოფის შესახებ, თუმცა ელ.ენერგიის მომწოდებლის მიერ აღნიშნული საკითხი არ/ვერ იქნა დაკმაყოფილებული.

ასევე საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამაში არ ხდება იმ გატარებების იდენტიფიცირება/გამიჯვნა რომელიც განკუთვნილია ტელევიზიის ოპერაციებისათვის, პას. პირების განცხადებით „ვინაიდან ტელევიზიას არ გააჩნია საკუთარი შემოსავლები და შესაბამისად საბუღალტრო პროგრამა ORIS-ში არ გვაქვს ცალკე, პროექტის სახით.“

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში -„აუდიტორის პასუხისმგებლობა“, ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და დანიშნულებით წარდგენაზე პასუხისმგებელია ორგანიზაცია ხელმძღვანელი. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. სამართლიანი წარდგენა მოითხოვს ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების კეთილსინდისიერად ასახვას აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებებისა და აღიარების კრიტერიუმების შესაბამისად.

„ორგანიზაცია“ პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო

[1] აღნიშნულ საკითხზე ასევე ყურადღება გამახვილებული იყო სასწავლო ტელევიზიის 2020 და 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშებში.

ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნათა გათვალისწინებით და ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციით დამტკიცებული თანდართული ფორმებისა და დანართების შესაბამისად და მოიცავდეს საქართველოს კომუნიკავიების ეროვნული სააგენტოს 2006 წლის 20 აპრილის N 5 დადგენილებით დამტკიცებული „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესები“-თ გათვალისწინებულ ფინანსური ინფორმაციას.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა**

აუდიტორი პასუხისმგებელია დაიცვას ეთიკის ნორმები, წარმართოს აუდიტორული პროცედურები იმგვარად, რომ მოიპოვოს დასაბუთებული რწმუნება, შეიცავს თუ არა ანგარიშგება არსებით უზუსტობას და აუდიტის შედეგების საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ბუღალტრული ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ბუღალტრული ანგარიშგების წარდგენის შეფასებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

დასკვნას თან ერთვის აუდიტორული შემოწმების ანგარიში და კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგნილი ანგარიშგების ფორმები რომელიც ამ დასკვნის განუყოფელი ნაწილია.

**შპს „რიალ აუდიტის“ გარიგების პარტნიორი:** ამირან არსენაშვილი
(SARAS-A-956336)

**სახელმწიფო სექტორის აუდიტორი** არჩილი ჯღამაძე
(სერ. №423)

ქ. თბილისი, გ,ქიქოძის №6/17

**28 აპრილი, 2023 წელი**

# 1. ტელევიზიის შესახებ

უნივერსიტეტის/ტელევიზიას ავტორიზაცია მიენიჭა 2020 წლის 30 ივლისს, ავტორიზაციის №BR-5100, სახეობად კი განსაზღვრულია საუნივერსიტეტო მაუწყებლობა. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, შოთა რუსთველის N19, ხოლო ტელევიზიის ფაქტობრივი მისამართი დავით აღმაშენებლის გამზირი N40.

**ამონაწერი მაუწყებლობაზე ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრიდან**

| | |
|---|---|
| ორგანიზაციის სახელწოდება: | **სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი** |
| ორგანიზაციის საგადასახადო კოდი: | 203851028 |
| მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები: | 21/03/2012, N 203851028, საჯარო რეესტრი |

**მაუწყებლობის ავტორიზაციის მონაცემები**

| | |
|---|---|
| * მაუწყებლობის სახე: | **ტელემაუწყებლობა** |
| მაუწყებლობის სახეობა: | **საუნივერსიტეტო მაუწყებლობა** |
| ავტორიზაციის ნომერი: | BR-5100 |
| ავტორიზაციის თარიღი: | 30/07/2020 |
| აღდგენის თარიღი | |
| თემატიკა/სხვა თემატიკები: | საგანმანათლებლო/შემეცნებითი/სასწავლო კურსები ხელოვნებასა და მის მომიჯნავე დარგებზე |
| მაუწყებლობის ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში: | 12 |
| მაუწყებლობის ენა/ენები: | ქართული |
| გავრცელების ტექნოლოგია, არეალი და მაუწყ. დაწყების ვადა: | ინტერნეტი(საქართველო - 31/10/20), სხვა ტექნოლოგია(საქართველო - 31/10/20) |
| ხელმისაწვდომობა: | უფასო (ინტერნეტი), უფასო (სხვა ტექნოლოგია) |
| ბრენდული დასახელება: | Tafu TV |

ამობეჭდვის თარიღი: **01/10/2020 15:23**

ხელმოწერა _____

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია www.comcom.ge
ამონაწერი დაბეჭდილია ვებ გვერდის მეშვეობით online.comcom.ge

უნივერსიტეტის დებულების თანახმად სასწავლო ტელევიზიის ფუნქციებია: - .საუნივერსიტეტო მაუწყებლობის განხორციელება; - უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის სპეციალობის სტუდენტების პროფესიული განათლების ხელშეწყობა; პედაგოგების და სტუდენტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა აუდიოვიზუალური პუბლიკაციების დასამზადებლად; ვიდეოპროექტების დაგეგმა და

წარმოების მართვა. სცენარის საფუძველზე ხარჯთაღრიცხვის მომზადება; შესაბამის სამსახურებზე ფუნქციების გადანაწილება, პროცესის კონტროლი;

# 2. ანგარიშგება

## 2.1 ბალანსი

| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება - 2022 წელი | | | | |
|---|---|---|---|---|
| სტრიქონის კოდი | დასახელება | შენიშვნა 1 | საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი | წინა საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი |
| | აქტივები | | | |
| | *მოკლევადიანი აქტივები* | | | |
| 001 | ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | S2 | - | - |
| 002 | მიმდინარე ინვესტიციები | S2a | - | - |
| 003 | მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები | S2a | - | - |
| 004 | მატერიალური მარაგები | S3 | - | - |
| 005 | სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები | S4 | - | - |
| **006** | ***სულ მოკლევადიანი აქტივები*** | | **-** | **-** |
| | *გრძელვადიანი აქტივები* | | | |
| 007 | გრძელვადიანი ფინანსური აქტივები | S5 | - | - |
| 008 | ძირითადი აქტივები | S6 | 602,996.00 | 663,032.00 |
| 009 | საინვესტიციო ქონება | S7 | - | - |
| 010 | არამატერიალური აქტივები | S8 | - | - |
| 011 | შეღავათიანი მომსახურების აქტივები | S9 | - | - |
| 012 | ფინანსური იჯარით მიღებული აქტივები | S10 | - | - |
| 013 | სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები | S11 | - | - |
| **014** | ***სულ გრძელვადიანი აქტივები*** | | **602,996.00** | **663,032.00** |
| **015** | **სულ აქტივები** | | **602,996.00** | **663,032.00** |
| | ვალდებულებები | | | |
| | *მოკლევადიანი ვალდებულებები* | | | |
| 016 | მოკლევადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით | S12 | - | - |
| 017 | მოკლევადიანი ნასესხები თანხები | S12 | - | - |
| 018 | მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, გარდა პროცენტისა | S13a | - | - |
| 019 | გადასახდელი პროცენტი | S13a | - | - |
| 020 | მიმდინარე ანარიცხები | S13b | - | - |
| 021 | სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | S13a | - | - |
| 022 | ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით | S13a | - | - |
| **023** | ***სულ მოკლევადიანი ვალდებულებები*** | | **-** | **-** |
| | *გრძელვადიანი ვალდებულებები* | | | |
| 024 | გრძელვადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით | S12 | - | - |
| 025 | გრძელვადიანი ნასესხები თანხები | S12 | - | - |
| 026 | გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები ფინანსური იჯარით | S10 | - | - |
| **სტრიქონის კოდი** | **დასახელება** | **შენიშვნა 1** | **საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი** | **წინა საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი** |
| 027 | შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებებით განსაზღვრული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები | S9 | - | - |
| 028 | გრძელვადიანი ანარიცხები | S13b | - | - |
| 029 | გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები | S13a | - | - |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **030** | ***სულ გრძელვადიანი ვალდებულებები*** | | **-** | **-** |
| **031** | **სულ ვალდებულებები** | | **-** | **-** |
| | წმინდა აქტივები/კაპიტალი | | | |
| 032 | საწესდებო კაპიტალი | | - | - |
| 033 | გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი | | 602,996.00 | 663,032.00 |
| 034 | რეზერვები | | - | - |
| **035** | ***სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი*** | | **602,996.00** | **663,032.00** |
| **036** | **სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები/კაპიტალი** | | **602,996.00** | **663,032.00** |
| | საცნობარო ანგარიშები | | | |
| 037 | საოპერაციო იჯარით მიღებული ძირითადი აქტივები | 01 | | |
| 038 | პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული აქტივები | 02 | | |
| 039 | გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანებები | 03 | | |
| 040 | ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური მარაგები ექსპლუატაციაში | 04 | 3,106.00 | 926.00 |
| 041 | პირობითი აქტივები | 05 | | |
| 042 | პირობითი ვალდებულებები | 06 | | |
| 043 | საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა | 07 | | |
| 044 | სრულად გაცვეთილი/ამორტიზებული აქტივები ექსპლუატაციაში | 08 | | |
| 045 | ვადაგადაცილებული დავალიანებები | 09 | | |
| 046 | განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება | 10 | | |
| 047 | საბანკო გარანტიები | 11 | | |
| 048 | ჩამოწერილი კრედიტორული დავალიანებები | 12 | | |

ორგანიზაცია აღრიცხვა/ანგარიშგებისათვის იყენებს დარიცხვის მეთოდს რომელიც გულისხმობს აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის აღიარებას მაშინ, როდესაც ისინი აკმაყოფილებს ამ ელემენტებისთვის დადგენილ განმარტებებსა და აღიარების კრიტერიუმებს. ინსტიტუტის აქტივად ასახულია – რესურსი, რომელსაც საზოგადოება აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რის საფუძველზეც საწარმო მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას. ვალდებულებად ასახულია – საზოგადოების ისეთი ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დაფარვა მოსალოდნელია, რომ გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლას საწარმოდან. საკუთარი კაპიტალი შეადგენს – საზოგადოების აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

ძირითად აქტივების ოდენობა საანგარიშო წლის დასაწყისისათვის შეადგენდა **663,032.00** ლარს, ხოლო საანგარიშგებო წლის ბოლოს - **602,996.00**, რომელთა შემადგენლობაშ შედის ტელევიზიის ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზა და შენობა ნაგებობის ნაწილი.

## 2.2 ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

| ფინანსური შედეგების ანგარიშგება - 2022 წელი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **სტრ ქონის კოდი** | **დასახელება** | **საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა** | | | 2021 წლის ბრუნვა |
| | | **საბიუჯეტო სახსრები** | **არასაბიუჯეტ ო სახსრები** | **სულ** | **სულ** |
| | **შემოსავლები** | | | | |
| 001 | საგადასახადო შემოსავლები | - | | - | - |
| 002 | სოციალური შენატანები | | | - | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 003 | შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით | - | - | - | - |
| 004 | შემოსავლები გრანტებით | - | - | - | - |
| 005 | ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | - | 66,600.00 | 66,600.00 | 39,805.00 |
| 006 | შემოსავლები შიდა ტრანსფერებით | - | - | - | 8,750.00 |
| 007 | შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა | - | - | - | - |
| 008 | გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული მოგება | - | - | - | - |
| 009 | საპროცენტო შემოსავლები | - | - | - | - |
| 010 | გაუფასურების უკუგატარებით შემოსავლები | - | - | - | - |
| 011 | სხვადასხვა შემოსავლები | - | - | - | - |
| 012 | **სულ შემოსავლები** | **-** | **66,600.00** | **66,600.00** | **48,555.00** |
| | **ხარჯები** | | | | |
| 013 | შრომის ანაზღაურება | - | 15,000.00 | 15,000.00 | 15,000.00 |
| 014 | საქონელი და მომსახურება | - | 51,600.00 | 51,600.00 | 33,555.00 |
| 015 | გრანტები | - | - | - | - |
| 016 | სუბსიდიები | - | - | - | - |
| 017 | ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები | - | - | - | - |
| 018 | შიდა ტრანსფერებით ხარჯები | - | - | - | - |
| 019 | ცვეთა და ამორტიზაცია | 55,136.00 | 4,900.00 | 60,036.00 | 60,025.00 |
| 020 | სოციალური დახმარება/უზრუნველყოფა | - | - | - | - |
| 021 | გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვებიდან მიღებული ზარალი | - | - | - | - |
| 022 | საპროცენტო ხარჯები (ფინანსური ხარჯები) | - | - | - | - |
| 023 | გაუფასურების ხარჯები | - | - | - | - |
| 024 | სხვადასხვა ხარჯები | - | - | - | - |
| 025 | **სულ ხარჯები** | **55,136.00** | **71,500.00** | **126,636.00** | **108,580.00** |
| 026 | **პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)** | **(55,136.00)** | **(4,900.00)** | **(60,036.00)** | **(60,025.00)** |

საზოგადოების შემოსავალი საანარიშგებო წლის განმავლობაში შედგებოდა არასაბიუჯეტო სახსრებისგან, 66,600.00 ლარის ოდენობით. ორგანიზაციას 2022 წლის განმავლობაში საოპერაციო შემოსავლები არ უფიქსირდება. ტელევიზიის შემოსავლებს წრმოადგენს უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სახსრები. ორგანიზაციის შემოსავალი არის – ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების შემოდინების ან ხარისხის გაუმჯობესების, ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც იწვევს საწარმოს საკუთარი კაპიტალის ზრდას, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეთა მიერ საკუთარ კაპიტალში განხორციელებულ დამატებით შენატანებთან. ხარჯები კი – ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოდან აქტივების გასვლის ან აქტივების ხარისხის გაუარესების, ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც იწვევს საკუთარი კაპიტალის შემცირებას, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებასთან. ხარჯები გაწეულ იქნა დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე, ტელევიზიის მაუწყებლობაზე, სხვადასხვა მცირეფასიანი აქტივების შეძენასა და სხვა დაკავშირებულ საქმიანობებზე.

საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგები, რომელიც გაიანგარიშება შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობით, ანგარიშგებაშ წარმოდგენილია როგორც გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი იგი ახასიათებს საზოგადოების საქმიანობის ფინანსურ შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. აუდირებული პერიოდის ნამეტი დეფიციტი განისაზღვრა (60,036.00) ლარით.

## 2.3 ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდში უნივერსიტეტის მიერ ტელევიზიისათვის გამოყოფილი თანხა - სულ 66,600.00 ლარს შეადგენს, მიღებული დაფინანსების ფარგლებში გაწეულია 66,600.00 ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის: შრომის ანაზღაურება 15,000.00 ლარი, საქონელი და მომსახურება 51,600.00 ლარი.

## 2.4 საწესდებო კაპიტალში ცვლილებების ანგარიში

| წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | საანგარიშგებო პერიოდი - 2022 | |
| სტრ ქონის კოდი | დასახელება | გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი | | რეზერვები | სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი |
| | | საბიუჯეტო სახსრები | არასაბიუჯეტო სახსრები | | |
| 001 | **საწყისი ნაშთი** | **608,047.00** | **54,985.00** | **-** | **663,032.00** |
| 002 | სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების რეტროსპექტული გამოყენება | | | | - |
| 003 | წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშება | | | | - |
| 004 | კორექტირებები ერთჯერადი გადაფასების შედეგად | | | | - |
| 005 | კორექტირებები კაპიტალის სხვა ცვლილებების შედეგად | | | | - |
| | **სულ ცვლილება:** | - | - | - | - |
| 006 | **გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი** | **608,047.00** | **54,985.00** | **-** | **663,032.00** |
| | **წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება** | | | | |
| 007 | კაპიტალში შენატანები | | | | - |
| 008 | კაპიტალის ამოღება | | | | - |
| 009 | რეზერვების ზრდა/კლება | | | | - |
| 010 | პერიოდის ნამეტი/დეფიციტი | (55,136.00) | (4,900.00) | | (60,036.00) |
| 011 | მესაკუთრეებისათვის გასანაწილებელი თანხები | | | | - |
| | **სულ ცვლილება:** | (55,136.00) | (4,900.00) | - | (60,036.00) |
| 012 | **საბოლოო ნაშთი** | **552,911.00** | **50,085.00** | **-** | **602,996.00** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | **წინა საანგარიშგებო პერიოდი - 2021** | |
| **სტრ ქონის კოდი** | **დასახელება** | **გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი** | | **რეზერვები** | **სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი** |
| | | **საბიუჯეტო სახსრები** | **არასაბიუჯეტო სახსრები** | | |
| 001 | **საწყისი ნაშთი** | **664,254.00** | **58,803.00** | | **723,057.00** |
| 002 | სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების რეტროსპექტული გამოყენება | | | | - |
| 003 | წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშება | | | | - |
| 004 | კორექტირებები ერთჯერადი გადაფასების შედეგად | | | | - |
| 005 | კორექტირებები კაპიტალის სხვა ცვლილებების შედეგად | | | | - |
| | **სულ ცვლილება:** | - | - | - | - |
| 006 | **გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი** | **664,254.00** | **58,803.00** | **-** | **723,057.00** |
| | **წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება** | | | | |
| 007 | კპიტალში შენატანები | | | | - |
| 008 | კაპიტალის ამოღება | | | | - |
| 009 | რეზერვების ზრდა/კლება | | | | - |
| 010 | პერიოდის ნამეტი/დეფიციტი | (56,207.00) | (3,818.00) | | (60,025.00) |
| 011 | მესაკუთრეებისათვის გასანაწილებელი თანხები | | | | - |
| | **სულ ცვლილება:** | (56,207.00) | (3,818.00) | - | (60,025.00) |
| 012 | **საბოლოო ნაშთი** | **608,047.00** | **54,985.00** | **-** | **663,032.00** |

## 2.5 ტელევიზიის მოძრავი ძირითადი საშუალებები

| № | ძირითადი აქტივების (მანქანა-დანადგარები) დასახელება | ზომი ერთეული | საინვენტარო კოდი | შემოსვლის წელი | რაოდენობა | ერთ. ღირებულება | თანხა | 2022 წლის ცვეთა | დაგროვილი ცვეთა 2022 | საბალანსო ღირებულება 01.01.2023 წ მდგ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვიდეო კამერა პანასონიკ X“180 | ცალი | 80881 | 2018 | 8.00 | 8,791.00 | 70,328.00 | 7,042.80 | 35,334.66 | 35,093.34 |
| 2 | კამერის შტატივი 504, 546 | ცალი | 80882 | 2018 | 10.00 | 2,075.00 | 20,750.00 | 1,348.75 | 6,743.75 | 14,006.25 |
| 3 | სატელევიზიო პორტატული ვიდეო პულტი ინტეგრირებული | ცალი | 80883 | 2018 | 1.00 | 17,204.00 | 17,204.00 | 1,591.97 | 7,941.44 | 9,362.56 |
| 4 | ვიდეო სიგნალის ჩამწერი | ცალი | 80884 | 2018 | 1.00 | 5,656.00 | 5,656.00 | 529.55 | 2,629.36 | 3,126.64 |
| 5 | სტუდიურისუფლიორი კომპლექტი 1კომპ-4220ლ და დიქტორისპროფ.სატელევიზიოსტუდიური ყურსასმენები | ცალი | 80887 | 2018 | 1.00 | 5,565.00 | 5,565.00 | 521.18 | 2,587.50 | 3,077.50 |
| 6 | კომპიუტერი სუფლიორისთვის | ცალი | 80888 | 2018 | 1.00 | 2,018.00 | 2,018.00 | 423.60 | 2,078.00 | 40.00 |
| 7 | სამკერდე სტაციონარული რადიომიკროფონის კომპლექტი | ცალი | 80889 | 2018 | 3.00 | 1,690.00 | 5,070.00 | 646.25 | 3,206.25 | 1,963.75 |
| 8 | ხელის რადიომიკროფონის კომპლექტი | ცალი | 80890 | 2018 | 1.00 | 1,690.00 | 1,690.00 | 223.75 | 1,093.75 | 696.25 |
| 9 | ხელრადიოსიხშირული მიმღები | ცალი | 80891 | 2018 | 2.00 | 2,629.00 | 5,258.00 | 492.94 | 2,446.28 | 2,911.72 |
| 10 | ტელევიზორი | ცალი | 80892 | 2018 | 4.00 | 1,101.00 | 4,404.00 | 460.40 | 2,262.00 | 2,342.00 |
| 11 | პროფესიონალური დინამიკები | ცალი | 80893 | 2018 | 3.00 | 805.67 | 2,417.00 | 251.70 | 1,238.50 | 1,278.50 |
| 12 | ვიდეოსიგნალის ენკოდერი | ცალი | 80894 | 2018 | 2.00 | 3,670.00 | 7,340.00 | 684.48 | 3,404.00 | 4,036.00 |
| 13 | სამონტაჟო გახმოვანების კომპიუტერის კომპლექტი სიგნალის ჩამწერი ბარათით | ცალი | 80895 | 2018 | 1.00 | 9,177.00 | 9,177.00 | 1,855.40 | 9,237.00 | 40.00 |
| 14 | სამონტაჟო კომპიუტერის კომპლექტი | ცალი | 80896 | 2018 | 4.00 | 5,506.00 | 22,024.00 | 4,424.80 | 22,084.00 | 40.00 |
| 15 | კომპიუტერში ჩასაყენებელი პროფესიონალური ვიდეო სიგნალის ჩამწერი/გამცეები“ბარათი“ | ცალი | 80897 | 2018 | 1.00 | 2,158.00 | 2,158.00 | 451.60 | 2,218.00 | 40.00 |
| 16 | მწვანე ფონი კომპლექტი | ცალი | 80898 | 2018 | 1.00 | 1,834.00 | 1,834.00 | 270.76 | 1,325.80 | 608.20 |
| 17 | სტუდიის ტელევიზორი ურიკაზე | ცალი | 80899 | 2018 | 1.00 | 1,101.00 | 1,101.00 | 240.20 | 1,161.00 | 40.00 |
| 18 | ვიდეო კამერა პანასონიკ | ცალი | 80900 | 2018 | 2.00 | 10,111.00 | 20,222.00 | 2,052.52 | 10,242.41 | 10,079.59 |
| 19 | ციფრული ფოტოაპარატი | ცალი | 80901 | 2018 | 1.00 | 18,137.00 | 18,137.00 | 1,276.59 | 6,368.95 | 11,868.05 |
| 20 | ლინზა ფოტოაპარატისთვის 24-70მმ | ცალი | 80902 | 2018 | 1.00 | 2,946.00 | 2,946.00 | 213.22 | 1,052.10 | 1,993.90 |
| 21 | ფოტოაპარატის ელემენტი | ცალი | 80903 | 2018 | 2.00 | 585.00 | 1,170.00 | 81.90 | 409.50 | 760.50 |
| 22 | ფოტოაპარატის ელემენტის სატენი | ცალი | 80904 | 2018 | 1.00 | 1,141.00 | 1,141.00 | 79.87 | 399.35 | 741.65 |
| 23 | ფოტოაპარატის მიკროფონი | ცალი | 80905 | 2018 | 1.00 | 616.00 | 616.00 | 77.00 | 385.00 | 231.00 |
| 24 | მიკროფონი | ცალი | 80906 | 2018 | 2.00 | 857.00 | 1,714.00 | 226.75 | 1,108.75 | 705.25 |
| 25 | სამკერდე რადიომიკროფონი | ცალი | 80907 | 2018 | 4.00 | 1,690.00 | 6,760.00 | 857.50 | 4,262.50 | 2,597.50 |
| 26 | უკაბელო საკამერო მიკროფონი | ცალი | 80908 | 2018 | 1.00 | 1,690.00 | 1,690.00 | 223.75 | 1,093.75 | 696.25 |
| 27 | მიკროფონი პეტლური | ცალი | 80909 | 2018 | 2.00 | 770.00 | 1,540.00 | 205.00 | 1,000.00 | 640.00 |
| 28 | ხმის ჩამწერი ჩანთით და ყურსასმენი | ცალი | 80910 | 2018 | 1.00 | 2,370.00 | 2,370.00 | 227.24 | 1,117.80 | 1,352.20 |
| № | ძირითადი აქტივების (მანქანა-დანადგარები) დასახელება | ზომი ერთეული | საინვენტარო კოდი | შემოსვლის წელი | რაოდენობა | ერთ. ღირებულება | თანხა | 2022 წლის ცვეთა | დაგროვილი ცვეთა 2022 | საბალანსო ღირებულება 01.01.2023 წ მდგ |
| 29 | კისერზე დამაგრებადი მიკროფონი და მიკროფონი | ცალი | 80911 | 2018 | 3.00 | 1,656.00 | 4,968.00 | 633.50 | 3,142.50 | 1,925.50 |
| 30 | კამერი სლაიდერი და აუდიო სიგნალის ჩამწერი | ცალი | 80912 | 2018 | 1.00 | 3,724.00 | 3,724.00 | 386.22 | 1,910.92 | 1,913.08 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 31 | განათების მოწყობილობა 2280 | ცალი | 80913 | 2018 | 8.00 | 2,055.00 | 16,440.00 | 1,323.20 | 6,600.00 | 9,940.00 |
| 32 | განათების მოწყობილობა კომპლექტი | ცალი | 80914 | 2018 | 8.00 | 1,294.50 | 10,356.00 | 836.48 | 4,166.40 | 6,289.60 |
| 33 | გარე"გადაცემის განათების კომპლექტი | ცალი | 80915 | 2018 | 1.00 | 18,322.00 | 18,322.00 | 1,473.76 | 7,352.80 | 11,069.20 |
| 34 | კამერის სტაბილიზატორი კომპლექტში (სტაბილიზატორის კაბელი და აქსესუარი | ცალი | 80916 | 2018 | 1.00 | 4,402.00 | 4,402.00 | 454.70 | 2,253.31 | 2,248.69 |
| 35 | დრონინუპილოტო საფრენი აპარატი ინტეგრირებული კამერით და ელემენტის სატენით | ცალი | 80917 | 2018 | 2.00 | 5,950.00 | 11,900.00 | 1,212.00 | 6,039.80 | 5,960.20 |
| 36 | აუდიო კასეტური მწარმოებელი | ცალი | 80918 | 2018 | 1.00 | 3,230.00 | 3,230.00 | 306.36 | 1,513.40 | 1,816.60 |
| 37 | ვიდეოსიგნალის დისტრიბუტორი | ცალი | 80919 | 2018 | 2.00 | 826.00 | 1,652.00 | 161.18 | 787.52 | 964.48 |
| 38 | ვიდეოსიგნალის გარდამქმნელი აუდიო სიგნალად | ცალი | 80920 | 2018 | 1.00 | 541.00 | 541.00 | 49.77 | 248.86 | 292.14 |
| 39 | აუდიო სიგნალის გარდამქმნელი | ცალი | 80921 | 2018 | 3.00 | 826.00 | 2,478.00 | 237.18 | 1,167.48 | 1,410.52 |
| 40 | ვირტუალური სისტემა კომპლექტი | ცალი | 80923 | 2018 | 1.00 | 56,582.00 | 56,582.00 | 5,214.74 | 26,055.32 | 30,626.68 |
| 41 | გამშვები სერვერი | ცალი | 80924 | 2018 | 2.00 | 34,162.00 | 68,324.00 | 6,295.01 | 31,456.64 | 36,967.36 |
| 42 | სთორეიჯი | ცალი | 80925 | 2018 | 1.00 | 34,865.00 | 34,865.00 | 3,225.98 | 16,093.10 | 18,971.90 |
| 43 | სთორეიჯის კომპლექტი | ცალი | 80926 | 2018 | 1.00 | 733.00 | 733.00 | 67.44 | 337.18 | 395.82 |
| 44 | სისტემის ინსტალაციისთვის საჭირო საინსტალაციო მასალები | ცალი | 80927 | 2018 | 1.00 | 27,835.00 | 27,835.00 | 2,570.02 | 12,831.70 | 15,103.30 |
| 45 | დრონი უპილოტო საფრენი აპარატი ინტეგრირებული კამერით | ცალი | 80928 | 2018 | 1.00 | 4,986.00 | 4,986.00 | 513.69 | 2,548.23 | 2,537.77 |
| 46 | კამერის ელემენტი | ცალი | 80929 | 2018 | 16.00 | 851.00 | 13,616.00 | 1,385.32 | 6,906.38 | 6,809.62 |
| 47 | ვიდეო კამერის მიკროფონი | ცალი | 80930 | 2018 | 8.00 | 937.00 | 7,496.00 | 949.50 | 4,722.50 | 2,873.50 |
| 48 | ვიდეო კამერის მიკროფონი | ცალი | 80931 | 2018 | 2.00 | 920.00 | 1,840.00 | 242.50 | 1,187.50 | 752.50 |
| 49 | ვიდეო კამერის კომპლექტი ეკრანის მზისგან დამცავი მეხსიერების ბარათი | ცალი | 80932 | 2018 | 1.00 | 6,830.00 | 6,830.00 | 866.25 | 4,306.25 | 2,623.75 |
| 50 | 20შემავლიანი აუდიო მიქშერი ტელევიზიისთვის | ცალი | 80933 | 2018 | 1.00 | 2,242.00 | 2,242.00 | 215.46 | 1,058.92 | 1,283.08 |
| 51 | რადიოსისტემა 6600 4-1248 კომპლექტში ვიდეოდამკვირვებლის კომპლექტი | კომპლ. | 80934 | 2018 | 1.00 | 1,560.00 | 1,560.00 | 152.72 | 745.20 | 914.80 |
| 52 | განათების კომპლექტი განათების მოწყობილ. ლირა | ცალი | 80935 | 2018 | 1.00 | 8,480.00 | 8,480.00 | 686.40 | 3,416.00 | 5,164.00 |
| 53 | ვიდეოსიგნალის გარდამქმნელი აუდიოსიგნალად | ცალი | 80936 | 2018 | 3.00 | 826.00 | 2,478.00 | 237.18 | 1,167.48 | 1,410.52 |

## 2.6 მნიშვნელოვანი გარემოებები - აღრიცხვის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, რათა დააკმაყოფილოს საქართველოს კომუნიკაციების კომისიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნები. შესაბამისად, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არ იყოს შესაფერისი სხვა მიზნებისთვის.

**შპს „რიალ აუდიტის“ გარიგების პარტნიორი:** ამირან არსენაშვილი
(**SARAS-A-956336)**

**სახელმწიფო სექტორის აუდიტორი** არჩილი ჯღამაძე
**(სერ. №423**)

ქ. თბილისი, გ,ქიქოძის №6/17

**28 აპრილი 2023 წელი**

## 3. აუდიტის აკრედიტაცია და სერთიფიკატები

4. გადაწყვეტილება გაეგზავნოს შპს „რიალ აუდიტი“-ს ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

იური დოლიძე

საჯარო
აუდიტის
ინსტიტუტი

საჯარო სექტორის აუდიტორის

# სერტიფიკატი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
სსიპ-საჯარო აუდიტის ინსტიტუტი

## არჩილ ჯღამაძე

პირადი N: 39001040332

წარმატებით გაიარა სერტიფიცირება და მოიპოვა
საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების
გაწევის უფლება

საჯარო აუდიტის
ინსტიტუტის დირექტორი
გელა ნიკლაური

სერტიფიკატის N 423
მოქმედების ვადა: 04.08.2027

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
SERVICE FOR ACCOUNTING, REPORTING AND AUDITING SUPERVISION

# ბრძანება

N 216
08/12/2016

**აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში ამირან არსენაშვილის რეგისტრაციის თაობაზე**

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს წარედგინა ამირან არსენაშვილის (პ/ნ 01001003110, წერილის N245763/21-11; 28.11.2016წ., იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ქიქოძის 6/17), სარეგისტრაციო განაცხადი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, რომლითაც მოთხოვნილია ამირან არსენაშვილის რეგისტრაცია აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში.

,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის და ,,ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2016 წლის 28 ოქტომბრის N17 ბრძანების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დასრულდეს ამირან არსენაშვილის სარეგისტრაციო წარმოება.
2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.
3. მიენიჭოს ამირან არსენაშვილს ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-A-956336
4. გადაწყვეტილება გაეგზავნოს ამირან არსენაშვილს ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

იური დოლიძე

სამსახურის უფროსი
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური